ხარისხის შეფასების ანგარიში

(2020-2021 სასწავლო წელი)

სტუდენტთა მიერ ლექტორის საგანმანათლებლო საქმიანობისა და სწავლება-სწავლის პროცესის შეფასების შესახებ	
ზოგადი მიმოხილვა	კვლევის მიზანს წარმოადგენდა 2020-2021 სასწავლო წელს ლექტორის საგანმანათლებლო საქმიანობისა და, ზოგადად, სწავლება-სწავლის პროცესის შეფასება/ანალიზი. მონაცემების მიღების მიზნით, კვლევა ჩატარდა ელექტრონული ფორმით, ნექსუსზე განთავსებული კითხვარის მეშვეობით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაამუშავა მიღებული მონაცემები, რის საფუძველზე დადგინდა, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო როგორც საბაკალავრო, ასევე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების 735-მა სტუდენტმა (მათ შორის, ბათუმის წარმომადგენლობის 186-მა სტუდენტმა), რაც უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობის 37,8%-ს შეადგენს. საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, რესპოდენტთა სტატისტიკური მონაცემები მოცემულია დანართ 1-ში. სტუდენტებმა შეაფასეს 184 ლექტორის საგანმანათლებლო საქმიანობა და სწავლება-სწავლის პროცესი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო როგორც თბილისის (75%), ასევე, უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის (25%) სტუდენტებმა. 2020-2021 წლის სასწავლო პროცესი, პანდემიის გამო, ძირითადად, განხორციელდა დისტანციურ (online) რეჟიმში. უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს Google Meet-ს დისტანციური სწავლა-სწავლებისათვის. აპლიკაცია ხელმისაწვდომია როგორც პერსონალური კომიუტერისთვის/ლეპტოპისთვის, ასევე, Android და iOS მობილური ტელეფონებისთვის და ტაბლეტებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტური განხორციელებისთვის, უნივერსიტეტმა ასევე შეიძინა Zoom-ის აპლიკაცია ლიცენზიით, რომლის მეშვეობით შესაძლებელია 20 პარალელური ჩართვის განხორციელება. უნივერსიტეტმა შეიმუშავა ელექტრონული სწავლების შესაბამისი ინსტრუქციები, რომელიც განთავსებულია ნექსუსზე და სასწავლო პროცესის მონაწილეებს აქვთ მათი გაცნობისა და გამოყენების შესაძლებლობა. ფუნქციონირებს საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის წევრებიც, საჭიროებისამებრ, დახმარებს უწევენ ლექტორებს, სტუდენტებს. ჩატარდა არაერთი ტრენინგი პედაგოგებისა და სტუდენტებისთვის ზემოაღნიშნული პლატფორმების გამოყენების შესწავლის მიზნით.

დადებითი ტენდენციები	დადებითი ტენდენციებიდან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტუდენტები თავიანთ კომენტარებში ამჟღავნებენ კმაყოფილებას უნივერსიტეტში სწავლების მაღალი დონის მიმართ. აღსანიშნავია, რომ რესპოდენტების მხრიდან პოზიტიურად შეფასდა პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიონალიზმი, ხოლო, მიზეზების იდენტიფიცირე-ბისას თუ რა განაპირობებს მათ კმაყოფილებას, ძირითადად, ხაზი გაესვა ლექტორების კვალიფიციურობას, პასუხისმგებლობას და სტუდენტებთან სათანადო დამოკიდე-ბულებას, სასწავლო მასალაზე მარტივი წვდომას ნექსუსზე განთავსებულ ონლაინ ბიბლიოთეკის დახმარებით, კომფორტულ სასწავლო გარემოს. დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, სტუდენტები დადებითად აფასებენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ეფექტურ რეაგირებას ახალ გამოწვევებზე.
ნეგატიური ტენდენციები	ნეგატიური ტენდენციებიდან კვლავ ყურადსაღებია ნექსუსზე სტუდენტთა შეფასებების დროული ასახვის პრობლემა. გამოკითხვის შედეგად, დგინდება, რომ წინა სასწავლო წელთან შედარებით გაუმჯობესდა აღნიშნული მაჩვენებელი. თუმცა მაინც დაფიქსირდა დაგვიანების რამდენიმე ფაქტი, ძირითადად, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სკოლის ფარგლებში. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა უკმაყოფილება გამოთქვეს კომუნიკაციის ლექტორის მიმართ, რაც, მათი აზრით, გამოიხატებოდა სწავლების არაეფექტური მეთოდისა და სალექციო თემატიკის არსებობით. დისტანციურ სწავლასთან დაკავშირებით, ძირითადი შენიშვნა/მოთხოვნა იყო პრაქტიკული მეცადნეობების ჩატარება სააუნივერსიტეტო სივრცეში.
დასკვნა	გამოკითხვის შედეგებიდან (დანართი 2) ნათლად ჩანს სტუდენტთა კმაყოფილების ხარისხი პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის, საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, სასწავლო პროცესის განხორციელების, სასწავლო რესურსების გამოყენების მიმართ. რესპოდენტთა კომენტარებში შესაძლებელია გამოიკვეთოს ძირითადი შინაარსი, რომლის მიხედვით იგრძნობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და ლექტორების კვალიფიციურობა, შორმისმოყვარეობა, სათანადო ყურადღება სტუდენტების საგანმანათლებლო საჭიროებების მიმართ, რაც საბოლოო ჯამში ამაღლებს სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებს.
რეკომენდაციები	➢ აკადემიური სკოლების ადმინისტრაციამ დაგეგმოს და განახორციელოს „ნექსუსზე“ შესაბამისი ინფორმაციების განთავსების/ასახვის ვადების დაცვის მონიტორინგი. ➢ სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებმა გამოიკვლიონ და დაადგინონ სასწავლო კურსის „კომუნიკაციის“ ლექტორის მიმართ სტუდენტთა მიერ გამოთქმული შენიშვნები. ➢ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, აკადემიური სკოლების დეკანატების ჩართულობით, უზრუნველყოს პრაქტიკული მეცადონეობების საუნივერსიტეტო სივრცეში ჩატარების პირობები.


გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტთა სტატისტიკური მონაცემები
აკადემიური სკოლების მიხედვით
13%
16%
13%
6%
27%
25%
ბიზნესისა და მართვის სკოლა
მედიცინის სკოლა
სამართლის სკოლა
საჯარო
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
ბათუმის წარმომადგენლობა

სტუდენტთა მიერ ლექტორის საგანმანათლებლო საქმიანობისა და სწავლება-სწავლის პროცესის კვლევის შემაჯამებელი მონაცემები

პ ა რ ა მ ე ტ რ ე ბ ი	საუნივერსიტეტო შემაჯამებელი	თბილისი	ბათუმი
დისციპლინის ლექტორი გამოირჩევა პროფესიონალიზმით, საინტერესოდ და გასაგებად ხსნის სასწავლო მასალას	4.5	4.3	4.6
სტუდენტთან ურთიერთობაში ლექტორი კეთილგანწყობილი და კორექტულია	4.6	4.5	4.6
სტუდენტს აქვს მეცადინეობაზე შეკითხვის დასმისა და დისკუსიაში მონაწილეობის მიღების საკმარისი შესაძლებლობა	4.6	4.5	4.7
პროფესორის შეფასებები, შენიშვნები და კომენტარები არის ფასეული / ობიექტური	4.5	4.3	4.6
შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა / სტუდენტისთვის ცნობილია კონკრეტული ქულის მინიჭების მექანიზმი	4.4	4.1	4.6
შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგები დადგენილ ვადებში თავსდება ნექსუსზე და ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის	4.5	4.4	4.5
ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია დისციპლინის შესაბამისი სასწავლო რესურსი (სახელმძღვანელო, წიგნი, პერიოდიკა, ციფრული მასალა, აუდიო-ვიდეო მასალა)	4.5	4.3	4.6
Nexus-ზე დროულად არის განთავსებული და ხელმისაწვდომია დისციპლინის შესაბამისი სასწავლო მასალა/დავალება	4.5	4.3	4.6
სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია დისციპლინის/სასწავლო კურსის სილაბუსი (შინაარსი, მიზნები, შედეგები, სასწავლო თემატიკა)	4.6	4.5	4.7
პროფესორი დაინტერესებულია სტუდენტის ცოდნის პროგრესით	4.5	4.3	4.6
პროფესორი, მეცადინეობის პროცესში, ხელს უწყობს სტუდენტს იფიქროს და იაზროვნოს დამოუკიდებლად /კრიტიკულად	4.6	4.4	4.7
სასწავლო კურსის მოსმენის შემდეგ მივიღე ახალი ცოდნა	4.6	4.4	4.7
"სასწავლო დატვირთვა (დავალებები რაოდენობისა და სირთულის მიხედვით) შეესაბამება სტუდენტის შესაძლებლობებს"	4.5	4.3	4.6
პროფესორი თითოეული თემის ახსნას / გამოკითხვას საკმარის დროს უთმობს	4.6	4.4	4.7
სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	4.4	4.2	4.5
სულ	**4.5**	**4.3**	**4.6**

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი (2020-2021 სასწავლო წელი)	
ზოგადი მიმოხილვა	კვლევის მიზანს წარმოადგენდა სტუდენტთა აკადემიური მომზადების დონის დადგენა, სწავლის შედეგების შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამების დაძლევის ხარისხის განსაზღვრა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამუშავდა სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ 2020-2021 სასწავლო წლის მიხედვით. შედარებითი ანალიზი გაკეთდა 19 საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (მათ შორის: 9 საბაკალავრო, 2 ერთსაფეხურიანი, 5 სამაგისტრო და 3 სადოქტორო პროგრამა) საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების მონაცემებზე დაყრდნობით. სტატისტიკური მონაცემები დამუშავდა როგორც თბილისის, ასევე, ბათუმის წარმომადგენლობაში მოქმედი პროგრამების ფარგლებში.
დადებითი ტენდენციები	მონაცემების ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ 2020 წლის საშემოდგომო სემესტრთან შედარებით, 2020 წლის საგაზაფხულო სემესტრში, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაღალი მაჩვენებლები (A და B შეფასება) გაიზარდა თბილისსა და ბათუმის წარმომადგენლობაში განხორციელებულ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე. აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებულია ბოლო წლების განმავლობაში. თითქმის ყველა საგანანმანათლებლო პროგრამაზე, 2020-2021 სასწავლო წლის ზემოაღნიშნული მაჩვენებლები, ასევე, გაზრდილია 2018-2019 სასწავლო წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.
ნეგატიური ტენდენციები (კონკრეტული მაგალითების ჩვენებით)	საანგარიშო პერიოდში, აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები პრაქტიკული კომპონენტის მქონე სასწავლ კურსებში, რაც ძირითადად, ქვეყანაში არსებული პანდემიური მდგომარეობის გამო, გამოწვეულია საუნივერსიტეტო კვლევით-ლაბორატორიულ ცენტრებში არასაკმარისი აქტივობების განხორციელების გამო.
დასკვნა	მონაცემების ანალიზის საფუძველზე, დგინდება, რომ საანგარიშო პერიოდში, საგანმანათლებლო პროგრამების დაძლევის ხარისხი, ზოგადად, დამაკმაყოფილებელია, რაც დასტურდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების საუნივერსიტეტო მაჩვენებლით: A შეფასება მიღებული აქვს სტუდენტთა 11%-ს B შეფასება - 17%-ს C შეფასება - 23%-ს D შეფასება - 24%-ს E შეფასება - 25%-ს რაც წინა სასწავლო წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით - გაუმჯობესებულია.

რეკომენდაციები	• საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტებმა გაანალიზონ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული მეცადინეობებისათვის გამოყოფილი საათების ოპტიმალურობა. • ქვეყანაში არსებული პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაძლებლობის ფარგლებში, აკადემიურმა სკოლებმა გააღრმავონ ურთიერთობები პარტნიორ დაწესებულებებთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან პრაქტიკის კომპონენტის სრულად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

სტუდენტთა მობილობის პროცესის ანალიზი

2020-2021 სასწავლო წელი

პროგრამის დასახელება	მობილობით გადასული სტუდენტი							მობილობით გადმოსული სტუდენტი						
	სულ	მიზეზები:						სულ	მიზეზები:					
		სწავლის საფასური	დაბალი აკადემიური შედეგი	პროფესიული ორიენტაცია	უნივერსიტეტის ადგილმდებარეობა	უნივერსიტეტის მიმართ უკმაყოფილება	სხვა*		უნივერსიტეტის იმიჯი	უნივერსიტეტის ადგილმდებარეობა	პროფესიული ორიენტაცია	მშობლიურ უნივერსიტეტში დაბალი აკადემიური შედეგი	მშობლიური უნივერსიტეტის მიმართ უკმაყოფილება	სხვა*
ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)	17	8	2	4	1		2	6	3	1	1	1		
ბიზნესის ადმინისტრირება მარკეტინგი)	2		1	1				4	2		2			
ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)	1			1				6	2	1	1	1		1
ტურიზმი	14		2	8	1		3	10	3		4	2		1
ფსიქოლოგია	5		2	1			3	13	3	2	1	3		4
ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია	2		1				1	-						
მასკომუნიკაცია (მაგისტრატურა	1						1	-						
სამართალი (საბაკალავრო)	9	5	1		1		2	8	4	1		2		1
სამართალი (სამაგისტრო)	1						1	2	2					
საჯარო მმართველობა და პოლიტიკა (საბაკალავრო)	7	3	1				3	3	1	1	1			
სტომატოლოგია	14	2	2		4		6	45	3	2	2	4		34
სულ	**73**	18	12	15	7	-	22	**97**	23	8	12	13		41

ა ნ გ ა რ ი შ ი
აკადემიური პერსონალის აკადემიური და
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შესახებ
(2020-2021 სასწავლო წელი)

ზოგადი მიმოხილვა	პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი განსაზღვრულია უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტანდარტით. პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება მოიცავს ოთხ ქვეკომპონენტს: • სასწავლო აქტივობა • ორგანიზაციულ მეთოდური საქმიანობა • სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა • პერსონალის გავლენა საზოგადოების განვითარებაზე • სამეცნიერო შრომების გავლენა მეცნიერების განვითარებაზე თითოეულ ქვეკომპონენტს გააჩნია თავისი ხვედრითი წილი 100 ქულის ფარგლებში, ხოლო ელემენტებს მიკუთვნებული აქვთ კოეფიციენტი. შეფასება ხდება შემდეგნაირად: თითოეული ელემენტის რაოდენობრივი მაცვენებელი მრავლდება მისთვის მიკუთვნებულ კოეფიციენტზე, რომელთა შედეგები იკრიბება და მიიღება საბოლოო შეფასება. აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობა იყოფა შემდეგ დონეებად: AA - საუკეთესო (100 <) A - კარგი (71-100) B - საკმარისი (51-70) C - დამაკმაყოფილებელი (31-50) იმ შემთხვევაში, თუ პერსონალის პროდუქტიულობის მაჩვენებელი მინიმალურზე დაბალია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამის პერსონალს და კვლევით ერთეულს აწვდის შედეგებს განმარტების მოთხოვნით. პერსონალის მონაწილეობით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, დგება სამოქმედო გეგმა ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეიძლება დადგეს საკითხი საკადრო ცვლილების შესახებ. 2020-2021 სასწავლო წლის ფარგლებში შეფასდა უნივერსიტეტის 90 აკადემიური პერსონალი, რაც წარმოადგენს საერთო მაჩვენებლის 81%-ს. შეფასებების შემაჯამებელი მონაცემების მიხედვით, პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესით დადგენილი მინიმალური მოთხოვნები დააკმაყოფილა 67-მა (74%) აკადემიურმა პერსონალმა.

დადებითი ტენდენციები	საანგარიშო პერიოდში, უნივერსიტეტმა, თითოეული სკოლის ფარგლებში, გამოავლინა აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის მაღალი მაჩვენებლის მქონე პერსონალი და წახალისების მიზნით, გამართა ნომინანტების დაჯილდოების საზეიმო ცერემონია. ხოლო, 2021-2022 სასწავლო წლიდან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულ ლექტორებს უნივერსიტეტი მისცემს შესაძლებლობას თანადაფინანსებით გაემგზავრონ ევროპის სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტებში და აიმაღლონ კვალიფიკაცია. 2021 წლის თებერვალში, გაფორმდა ხელშეკრულება გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტსა და დუსელდორფის სამეცნიერო ინფორმაციისა და განათლების საერთაშორისო ცენტრთან. http://www.iwg-germany.net. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გულისხმობს საგანმანათლებლო სფეროში ერთობლივი პროექტების განხორციელებას და სამეცნიერო - კვლევითი მიმართულებით დიუსელდორფის, კელნისა და ესენის უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობას. მათ შორის: ერთობლივი სტატიების გამოქვეყნებას, საჯარო ლექციების, ტრენინგების გამართვას. სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების წარმოჩენა-წახალისების პროცესის უზრუნველსაყოფად, აღნიშნულ უნივერსიტეტთან მიღწეულია შეთანხმება საუკეთესო სტატიების უფასოდ გამოქვეყნების შესახებ ჟურნალში - „საზოგადოება და პიროვნება“, ISSN 2701-8180 (როგორც ბეჭდური ისე ონლაინ გამოცემა). საანგარიშო პერიოდში, საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტგამოცემა „Media4u Magazine“ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და დოქტორანტებს, გამონაკლისის სახით, აძლევს შესაძლებლობას სამეცნიერო სტატიები უფასოდ გამოქვეყნონ აღნიშნულ ჟურნალში.
ნეგატიური ტენდენციები	მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტმა და ციფრულმა ტექნოლოგიებმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს COVID-19 პანდემიისგან გამოწვეული სირთულეების შესამსუბუქებლად, მკვეთრად შემცირდა პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა.
დასკვნა	უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანალიზის საფუძველზე, დგინდება, რომ საანგარიშო პერიოდში, პერსონალის პროდუქტიულობის ხარისხი დამაკმაყოფილებელია, რაც დასტურდება მიღებული შედეგებით: A - დონით შეფასდა 7 პერსონალი (7,8%) B - დონით შეფასდა 28 პერსონალი (31,1%) C - დონით შეფასდა 32 პერსონალი (35,6%) 23-მა პერსონალმა (25,5%) ვერ დააგროვა დადგენილი მინიმუმი.

რეკომენდაციები	1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ხარისხის ასამაღლებლად ელექტრონული პლატფორმის შემუშავება. 2. უნივერსიტეტის მხრიდან, საზღვარგარეთ, მათ შორის პარტნიორ უნივერსიტეტებსა და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, პერსონალის სამეცნიერო მივლინებების დაფინანსების გაზრდა; 3. პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, ერთობლივი ფორუმების/კონფერენციების, მიზნობრივი ტრენინგების ორგანიზება. 4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი საგრანტო პროგრამების რაოდენობის გაზრდა. 5. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების პოპულარიზაციის ხელშეწყობა.